ჭკვიანი ქალაქები: არსი და გეოგრაფიული თავისებურებანი

დავით ბაკურაძე

ელ-ფოსტა: davit.bakuradze815@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

დღეს დედამიწის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქალაქებში ცხოვრობს. ქალაქებში მოსახლეობის რაოდენობის ზრდისა და ბუნებრივი რესურსების (მაგალითად, წყლის, ენერგიტიკული რესურსების და ა.შ.) აქტიურად გამოყენების ფონზე დღის წესრიგში დადგა საკითხი, თუ რას ნიშნავს სწორი ურბანული დადგეგმარება და როგორ შევაფასოთ ქალაქის მიერ მდგრადი განვითარებისაკენ გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობა. შედეგად, XXI საუკუნეში გაჩნდა ჭკვიანი ქალაქების კონცეფცია. აღნიშნული ნაშრომის მიზანი სწორედ ჭკვიანი ქალაქების არსის დადგენა და მათი გეოგრაფიული თავისებურებების შესწავლაა.

ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი ჭკვიანი ქალაქების მახასიათებლები, აღნიშნული კონცეფცია შედარებულია მწვანე და ლურჯ-მწვანე ქალაქების კონცეფციასთან. გარდა ამისა, მოკლედ არის განხილული მსოფლიოში ჭკვიანი ქალაქების შესაფასებლად შექმნილი 6 ინდექსი და მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები. ასევე ახსნილია, თუ რატომ არის მიჩნეული კოპენჰაგენი და სინგაპური მსოფლიოს ყველაზე ჭკვიან ქალაქებად. CITYkeys ინდიკატორების მაგალითზე დეტალურად განხილულია ჭკვიანი ქალაქების შეფასების მეთოდოლოგია, ინდიკატორების არსი და მათი შერჩევის კრიტერიუმები. ნაშრომში იკვეთება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გეოგრაფების ჩართულობა მეთოდოლოგიის შედგენისა და ინდიკატორების შემუშავების პროცესში.

ნაშრომის შესრულებისას, საქართველოს მაგალითზე, ჭკვიანი ქალაქების ინდიკატორების მიხედვით პირველად შეფასდა ქალაქი ბათუმი და მოხდა მიღებული შედეგების შედარება ევროპის სხვადასხვა ქალაქების მაჩვენებლებთან. კვლევის ფარგლებში შედგენილ იქნა რამდენიმე თემატური რუკა. ნაშრომში ნათლად გამოიკვეთა ის სირთულეები, რომელიც წარმოიქმნება საქართველოს ქალაქების ჭკვიანი ქალაქების მეთოდოლოგიით შეფასების პროცესში.